



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

შპს ბაქსვუდის სკოლა გელოვანზე

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლიანა კობესაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:

ცირა ნიკოლაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ნინო ბერიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

მაია შამუგია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნონა ბეროშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ხათუნა კალმახელიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ნათია გაგნიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

ხათუნა ქერაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ციცინო თორია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ქეთევან ქობალაია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ლანა კუჭავა - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს „ბაქსვუდის სკოლა გელოვანზე“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	405712082

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, დასახლება ვაშლიჯვარი , მარშალ გელოვანის გამზირი , N 1
საფოსტო ინდექსი	0159
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://buckswood.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	admin@buckswood.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 99 29 97

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 12 ივლისის ბრძანება MES 9 24 0000855523
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	31 ივლისი, 01 აგვისტო 2024 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ქალაქი თბილისი, დასახლება ვაშლიჯვარი, მარშალ გელოვანის გამზირი N 1
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ქალაქი თბილისი, დასახლება ვაშლიჯვარი, მარშალ გელოვანის გამზირი N 1
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ქალაქი თბილისი, დასახლება ვაშლიჯვარი, მარშალ გელოვანის გამზირი N 1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. განიხილა ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შეიმუშავა დღის წესრიგი და წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გაეგზავნა წინასწარ. სკოლაში განხორციელებული ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის რეჟიმის შესაბამისად, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია, ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და

ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი საქმიანობა. დაათვალიერა კურიკულუმთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს. ზემოთაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)



მოსწავლეთა რაოდენობა: 600	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	
---------------------------------	--	--

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა მეტწილ შესაბამისად შეაფასა სამივე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი 3.4.1.1.		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში: ა) მოიპოვოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა 2024 წლის ივლისი 2024 წლის 10 დეკემბერი პერიოდში. ბ) უზრუნველყოს სკოლის (C ბლოკის) სრულად აღჭურვა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით 2024 წლის ივლისი 2024 წლის 10 სექტემბერი პერიოდში. გ) მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სკოლის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა 2024 წლის ივლისი 2024 წლის 10 დეკემბერი.

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში).	
ინდიკატორი 3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2024 წლის ივლისი -10 დეკემბერი) უზრუნველყოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შეთანხმება განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და დაამტკიცოს ის.
3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლის მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილ ვადებში (01 აგვისტო-10 სექტემბერი) უზრუნველყოს C ბლოკის მოწყობა სრულად. კერძოდ, მოახდინოს: ა. ოთახების, საერთო მოხმარების სივრცეების, სველი წერტილების, გარე პერიმეტრის კეთილმოწყობა. ბ. ოთახების სასწავლო-მატერიალური რესურსით აღჭურვა. გ. შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერებით აღჭურვა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრული ვადის დაცვით (2024 წლის 01 აგვისტო - 10 სექტემბერი) კანონმდებლობის შესაბამისად ჩაატაროს კონკურსი და გააფორმოს შერჩეულ მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრული ვადის დაცვით (2024 წლის 01 აგვისტო - 10 სექტემბერი) კანონმდებლობის შესაბამისად ჩაატაროს კონკურსი და გააფორმოს



	საჭირო ადამიანური რესურსი.	შერჩეულ მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრული ვადის დაცვით (2024 წლის 01 აგვისტო - 10 სექტემბერი) კანონმდებლობის შესაბამისად ჩაატაროს კონკურსი და გააფორმოს შერჩეულ მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: - მეექვსე კლასში კურიკულუმში განსაზღვრული თემების ჩამონათვალი ემთხვეოდეს სკოლის მიერ განსაზღვრულ თემებს. საზოგადოებრივი მეცნიერებები: - სკოლა დაწყებით საფეხურზე ახორციელებს კლასის



		კოორდინატორის/ტუტორის პროგრამას, სადაც ინკორპორირებულია საგან „მე და საზოგადოების“ სავალდებულო თემები, გაწერილია მრავლაფეროვანი საკითხები და აქტივობები, მაგრამ ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა მობილობის შემთხვევებიც, რომ არ გამოიწვიოს მოსწავლის მიერ ერთი და იგივე თემების რამდენჯერმე სწავლა; ასევე, მაქსიმალურად უნდა იყოს დაახლოებული ესგ-ს მოთხოვნებთან და ტუტორების პროგრამაში ნათლად უნდა ჩანდეს სამიზნე ცნებების შესწავლა-შეფასების პროცესი. კურიკულუმებში თემების მიხედვით უნდა იყოს წარმოდგენილი შუალედური სასწავლო მიზნების განხორციელებისთვის საჭირო შემოქმედებითი პროდუქტები. მაგ.: V-VI კლ. საგან „ჩვენი საქართველოს“ თემებში (იმერეთი, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი) არ არის წარმოდგენილი შემოქმედებითი პროდუქტები, შესაბამისად გაუგებარია, როგორ შეძლებს პედაგოგი გრძელვადიანი სასწავლო მიზნების მიღწევას. „ჩვენი საქართველო“ VI კლ. თემა „კახეთი“ კომპლექსური დავალება „მაკეტის დამზადება“, უფრო კონკრეტულად და გასაგებად უნდა იყოს ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების პირობა, თუ რისი მაკეტის დამზადება ევალუატირება მოსწავლეებს. პირობაში წერია: „მოსწავლეებს უნაწილდებათ თემები - კახეთის ბუნების ძეგლები, კახეთის ისტორიული ძეგლები, კახეთის მეურნეობის ძირითადი დარგები, გამოჩენილი ადამიანები კახეთიდან“, და არ არის განმარტებული, თუ როგორ უნდა შეასრულოს მოსწავლემ ბუნების ძეგლის, მეურნეობის დარგის ან გამოჩენილი ადამიანის მაკეტი. იგივე პირობაა შემდეგ თემაშიც – აღმ. საქ. მთიანეთი. იმავე თემაში პედაგოგი სთხოვს მოსწავლეებს „ვირტუალური ტურის მოწყობას“ და შემდეგ პირობაში წერია „შექმენით პრეზენტაცია“, რაც მოსწავლეებისთვის დამაბნეველი იქნება.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ	საზოგადოებრივი მეცნიერებები: ტუტორების პროგრამაში „მე და საზოგადოება“ III კლ. მოცემული თემების შეხვედრების საერთო რაოდენობა შეადგენს 44-ს (თემები: პიროვნული და მორალური განვითარება 33 შეხვედრა;



	მიზნებს	გარემოსდაცვითი კულტურა და ცხოვრების ჯანსაღი წესი 4 შეხვედრა; უსაფრთხოება და მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერება 3 შეხვედრა; თვალსაწიერების გაფართოება 4 შეხვედრა), სავარაოდოდ ამ შეხვედრების საათობრივი რაოდენობა გაცილებით მეტია, რადგან ესგ-ით ამ საგანზე გათვალისწინებულია 2 საათიანი კვირეული დატვირთვა და წლიური საათების რაოდენობა 70-72 სთ უნდა იყოს. ტუტორების პროგრამაში „მე და საზოგადოება“ IIIკლ. შუალედური სასწავლო მიზანი – სასკოლო კონსტიტუციის შექმნა, დათმობილი აქვს 2 საათი, მაგრამ აქტივობების, რესურსების და შემოქმედებით პროდუქტზე სამუშაო დრო, სავარაოდოდ უფრო ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. კურიკულუმის შექმნის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს თემების, შუალედური სასწავლო მიზნების მიღწევის შემოქმედებითი პროდუქტის, აქტივობების შინაარსობრივი თანხვედრა და რეალისტური საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	საზოგადოებრივი მეცნიერებები ტუტორების პროგრამაში „მე და საზოგადოება“ IVკლ. შუალედური სასწავლო მიზანი – შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა „წერილი კულტურის მინისტრს – მეტეხის ტაძრის მდგომარეობა და მასზე ზრუნვის აუცილებლობა“, პირობაში მოცემული შეფასების კრიტერიუმები და მოსწავლის განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს, ასევე ნათლად უნდა ჩანდეს, თუ რომელი სასწავლო შედეგი მიიღწევა თითოეული შუალედური სასწავლო მიზნის განხორციელებით. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, რომ სხვადასვა მასწავლებელმა იდენტური პასუხები ერთნაირად შეაფასონ;
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა	საზოგადოებრივი მეცნიერებები გეოგრაფიის და ისტორიის 7-8-9 კლ. და მოქალაქეობის 9კლ. კურიკულუმებში ყველა თემის მიხედვით წარმოდგენილი უნდა იყოს შუალედური სასწავლო მიზნების განხორციელებისთვის საჭირო



	და განვითარების გზას	შემოქმედებითი პროდუქტი. ჰაუსმასტერების პროგრამაში ინკორპორირებულია საგანი მოქალაქეობა 7-8კლასები. თითოეულ მიმართულებას ახლავს სამიზნე ცნებები და აქტივობები, მაგრამ არ არის გამოკვეთილი შემოქმედებითი პროდუქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების გააზრებას.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება უნდა იყოს გაწერილი ყველა კურიკულუმში, როგორც არის გაკეთებული საგან „მოქალაქეობის“ IX კლ. კურიკულუმში. ჰაუსმასტერების პროგრამაში მითითებულია შეხვედრების რაოდენობა, ასევე უნდა მიეთითოს ამ შეხვედრების საათობრივი მაჩვენებელიც, თუ რომელ კლასში კონკრეტულად რომელი მიმართულების აქტივობები ხორციელდება, რომელ სემესტრში და რამდენი საათი.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღიჭურვოს გამწოვი კარადით.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საზოგადოებრივი მეცნიერებები ჰაუსმასტერების პროგრამაში ჩაშენებული საგანი მოქალაქეობა 7-8კლ. ითვალისწინებს მოსწავლის მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას, აუცილებელია დაემატოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც ნათლად იქნება ასახული, თუ რომელ სამიზნე ცნებაზე და რომელ შედეგებზე გავიდა მოსწავლე. მოსწავლის მობილობით გადასვლის შემთხვევაში, საგან მოქალაქეობაში მას არ ექნება განმსაზღვრელი შეფასება.



ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	საზოგადოებრივი მეცნიერებები - გეოგრაფიის VII კლ. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში „რუკა და ორიენტირება“ და „გეოგრაფიული ობიექტი“ არ წარმოადგენენ სამიზნე ცნებებს; - საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკებში ნათლად უნდა იყოს ასახული შუალედური სასწავლო მიზნის შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების კრიტერიუმები, ასევე ეს შეფასების კრიტერიუმები გრძელვადიანი სასწავლო მიზნის რომელი შედეგებისკენ მიემართებიან. მაგ.: ისტორიის VIII კლ. განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში მითითებულია საფეხურეობრივი შედეგები და მიღწევის ინდიკატორები, ამავე დროს უნდა იყოს მითითებული კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმების შეფასების დონეებიც (განსაკუთარებით განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში), რომელიც მოსწავლეების დიფერენცირებული შეფასების შესაძლებლობას იძლევა. - წარმოდგენილ კურიკულუმებში შემოქმედებითი პროდუქტები და მათი შეფასების რუბრიკები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. მაგ.: ისტორიის IX კლ. კურიკულუმში შემოქმედებითი პროდუქტი ეხება სამეცნიერო სტატიას (XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში განვითარებული მოვლენები და სახელმწიფოებრიობის დაკარგვის წინაპირობები), ხოლო განმსაზღვრელი (კულტურა და განათლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში) შეფასება აღნიშნულ საკითხს არ ეხება, ამასთანავე არ არის ასახული კურიკულუმში.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ყველა თემაში უნდა იყოს წარმოდგენილი ერთი კომპლექსური ბუნების დავალება/შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც უნდა ახლდეს კონკრეტულ საკითხთან მიმართებით გაწერილი შეფასების კრიტერიუმები. უმრავლეს შემთხვევაში გამოტოვებულია გრძელვადიანი სასწავლო მიზნების მიღწევისთვის აუცილებლად განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტები



ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	საზოგადოებრივი მეცნიერებები: ყველა კურიკულუმში უნდა იყოს გაწერილი საათობრივი დატვირთვა, როგორც კვირეული, სემესტრული, ასევე წლიური საათების რაოდენობის აღნიშვნით. მაგალითისთვის იხელმძღვანელოთ მოქალაქეობის X კლ. კურიკულუმით.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღიჭურვოს გამწოვი კარადით.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საზოგადოებრივი მეცნიერებები • შეფასების რუბრიკები გარდა იმისა, რომ უნდა მიემართებოდეს გრძელვადიანი სასწავლო მიზნებისკენ, უნდა ასახავდეს კონკრეტული საკითხის შეფასების კრიტერიუმებს; კურიკულუმში ასახული შემოქმედებითი პროდუქტი და მისი შეფასების რუბრიკები შინაარსობრივად ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს მაგ.: გეოგრაფია 11კლ. თემა: კლიმატის გლობალური ცვლილებები შემოქმედებით პროდუქტად წარმოდგენილია ტორნადოების ხეივანის პრეზენტაციის/სტატიის შექმნა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში მოცემულია საკითხი – მტკნარი წყლის პრობლემა, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში საკითხი – მყინვარების დნობა წარმოდგენილი.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	საზოგადოებრივი მეცნიერებები • საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი შეფასების რუბრიკებში (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) ნათლად უნდა ჩანდეს გრძელვადიანი სასწავლო მიზნის შემეცნების დონის

		შეფასება, ასევე სასწავლო შედეგების ამსახველი დიფერენცირებული შეფასება უნდა იყოს წარმოდგენილი. მაგალითისთვის იხელმძღვანელეთ მოქალაქეობის X კლ. განმავითარებელი შეფასების რუბრიკით, საკითხი „ბაქსვუდის მერის არჩევნები“. შეფასების რუბრიკები უნდა იყოს ისე შედგენილი, რომ მოსწავლეების ობიექტური შეფასების საფუძველს იძლეოდეს. მოსწავლეების მიერ შესრულებული ერთნაირი შემოქმედებითი პროდუქტების წარმოდგენის პირობებში, ერთნაირად უნდა იყვნენ შეფასებული. მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი, როგორც შემფასებლის სუბიექტური დამოკიდებულებები, ასევე შეფასების რუბრიკების მრავლობითი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა.
--	--	--

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „ბაქსვუდის სკოლა გელოვანზე“ დირექტორის 2024 წლის 21 აგვისტოს კორესპონდენცია 24/007 და 2024 წლის 26 აგვისტოს წერილი 24/008 არგუმენტირებულ პოზიციასთან და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმასთან, ასევე უკვე განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებებთან ერთად.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა წარმოდგენილი უკვე განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებები და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილი აქტივობები, ვადები, რისკები და რესურსები, გაიზიარა სკოლის პოზიცია და შედეგად რიგი კომპონენტების შეფასება შეცვალა. კერძოდ,

1.1. შესაბამისობაშია, 3.4. მეტწილ შესაბამისობაშია, 3.5. მეტწილ შესაბამისობაშია, 3.6. შესაბამისობაშია, 2.2. მეტწილ შესაბამისობაშია სამივე საფეხურზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა, რომელიც მიემართება მოსწავლის ნიჭის ამოჩენას, ამ ნიჭის მაქსიმალური რეალიზების ხელშეწყობასა და მოსწავლის მომზადებას წარმატებული სტუდენტობისა და პროფესიული კარიერისათვის შესაბამისი გარემოს შექმნითა და არაფორმალური განათლების გაძლიერებით, ორი ქვეყნის (ქართულ-ბრიტანული) საგანმანათლებლო ტრადიციების შერწყმით, სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა გეგმავს იყოს სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცე, რაც ხელს შეუწყობს მისიის მიღწევას. დაწესებულება ორიენტირებულია შექმნას სასკოლო საზოგადოებისათვის ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემო, მათ შორის შშმ პირებისთვის. დაწესებულება მზადაა მიიღოს და ხელი შეუწყოს ნებისმიერი კულტურისა და იდენტობის მქონე მოსწავლეებს განათლების მიღებაში. მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლების მიზნით გეგმავს კულტურული ღონისძიებების მოწყობას, მზადაა მხარი დაუჭიროს მოსწავლეთა ინიციატივებს, ხელი შეუწყოს/წაახალისოს თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, უზრუნველყოს შეუფერხებელი წვდომა საგანმანათლებლო რესურსებზე და იყოს ღია კომუნიკაციისათვის. ჰაუსმასტერები დაეხმარებიან მოსწავლეებს პირადი მიზნების დასახვასა და განხორციელებაში, პატივს სცემენ კულტურულ ტრადიციებს და პრაქტიკებს (ქართული და ბრიტანული). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია. სკოლის ფილოსოფიაზე სამუშაოდ დაწესებულებამ განსაზღვრა ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილია აკადემიური დირექტორით, დეპარტამენტის ხელმძღვანელებით, აკადემიურ საქმეთა კოორდინატორით და დაწყებითი საფეხურის და სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ფილოსოფიის გაზიარება მოხდება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით შემუშავებული ინსტრუმენტების გამოყენებით სკოლის ფუნქციონირების დაწყების შემდგომ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, რაც მის საჯაროობას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება "ბაქსუდის გელოვანზე" არ შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც 01 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე პერიოდში უზრუნველყოფს სკოლის დასახელების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის სახელწოდების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა და სახელწოდების ცვლილება ასახოს სკოლაში მოქმედ მარეგულირებელ დოკუმენტებში და სკოლის ვებგვერდზე. გამომდინარე აღნიშნულიდან კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ წარმოადგინა დაწესებულების სახელის ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომლის თანახმადაც დაწესებულების სახელწოდებაა „შპს ბაქსუდის სკოლა გელოვანზე“. გამომდინარე აღნიშნულიდან კომპონენტის შეფასება, მეტწილი შესაბამისობა, შეიცვალა შეფასებით შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი. ბრძანება № 24- 25/ 028;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი;
- ბრძანება No 24-25/020 01/07/2024 წ. სკოლის ფილოსოფიის შემუშავების/განხილვისთვის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრის თაობაზე;
- სკოლის ფილოსოფიის შემუშავება/განხილვის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #1;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ვებგვერდი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების, მოლოდინებისა და ინტერესების გათვალისწინების მიზნით სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფის (ჯგუფის შემადგენლობაში მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები შედიან, რაც უზრუნველყოფს მათ ჩართულობას პროცესში), ამოცანაა ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე აქტიური კომუნიკაციის დამყარება სასკოლო საზოგადოებასთან, მათი შენიშვნების განხილვა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების ასახვა საბოლოოდ შემუშავებულ დოკუმენტებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი. სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით ახალ სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა იწყება მოქმედი სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე და ხდება მეთოდოლოგიით განსაზღვრული შესაბამისი ეტაპების განმეორება რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის ციკლურობას. წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი, ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას და შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ამ ეტაპზე (რადგანაც სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია) ეფუძნება მხოლოდ სკოლის სტრატეგიულ გეგმას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. ფინანსური რესურსი გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, ბრძანება №24-25/3 (25.06.2024 წ.);
- სტრატეგიული გეგმა. ბრძანება სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ № 24-25/040;
- ერთწლიანი გეგმა. ბრძანება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ № 24-25/041;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი და შეფასება 2-ჯერ. მე-3 წლის ბოლოს და მე-7 წელს, ხოლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი - სასწავლო წლის დასასრულს. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს აღნიშნული მიზნით შექმნილი

სამუშაო ჯგუფი. შეფასების ინსტრუმენტად კი გამოიყენება დაკვირვება და ანგარიშების წარდგენის მეთოდი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია შესაბამისად ინდიკატორი ვერ შეფასდა.
3. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია შესაბამისად ინდიკატორი ვერ შეფასდა.
4. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია შესაბამისად ინდიკატორი ვერ შეფასდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლას შემუშავებული აქვს ბაქსვუდის სკოლის შინაგანაწესი და კორპორატიული სახელმძღვანელო. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მთავარ მარეგულირებელ დოკუმენტს, რომლის თითოეული დებულების შესრულება სკოლის ყველა მოსწავლის, მასწავლებლის მშობლისა და სკოლის ყველა თანამშრომლის პასუხისმგებლობას წარმოადგენს. დოკუმენტში მოცემულია სკოლის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს შემდეგ ერთეულებს: დამფუძნებელთა საბჭო, დირექტორი, აკადემიური დირექტორი, აკადემიურ საქმეთა კოორდინატორი, აკადემიური პროცესების მონიტორინგის მენეჯერი, საგნობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელები, დისციპლინარული კომიტეტი, სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელი, ინოვაციების მენეჯერი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, მოსწავლეთა საბჭო, ადმინისტრაციული გუნდი (ფინანსური სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური, იურისტი, კომუნიკაციების კოორდინატორი), ტექნიკური დირექტორი (სამედიცინო სამსახური, ტრანსპორტის სამსახური, ტექნიკური სამსახური, უსაფრთხოების სამსახური, კვების სამსახური, IT სამსახური, შრომის უსაფრთხოების სამსახური) და გაწერილია სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები. ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბაქსვუდის სკოლის შინაგანაწესი და კორპორატიული სახელმძღვანელო. ბრძანება № 24 - 25/ 028;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა პერსონალის მართვას გეგმავს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შიდა რეგულაციების: „ბაქსვუდის სკოლის შინაგანაწესი და კორპორატიული სახელმძღვანელო“ და „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტებით რეგულირდება პერსონალის შერჩევა, მიღება, გადამზადება, განვითარება და შეფასება, მოტივირება და წახალისება, როტაცია საჭიროების შემთხვევაში. განსაზღვრულია აკადემიური და არაკადემიური წესები მასწავლებლისათვის, სკოლის თანამშრომლის საქმიანობისა და ქცევის წესები, სამუშაო დრო, გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა გეგმავს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის განხორციელებას. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით სკოლა წინასწარ განსაზღვრავს ახალი საშტატო ერთეულის საჭიროებას, რომელიც შესაძლებელია წარმოიქმნას ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნისას ან/და თანამშრომელთა გათავისუფლების შემთხვევაში ან/და დამატებითი ადამიანური რესურსების საჭიროების დროს ან/და მოსწავლეთა კონტიგენტის გაზრდისას ან/და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისას და სხვა გარემოებების შედეგად და გამოაცხადებს ვაკანსიას კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის მიზნით. სკოლა გეგმავს განახორციელოს პერსონალის შერჩევა საქართველოს კანონმდებლობისა და სკოლაში მოქმედი შიდა ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესაბამისად, მუდმივად გამოიკვლიოს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი და შესაბამისად დაგეგმოს მათი განვითარება, საგაკვეთილო ცხრილის აწყობისას გაითვალისწინოს საგნის მასწავლებლის სკოლაში არყოფნის შემთხვევაში, მისი იმავე საგნის ან საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლით ჩანაცვლების შესაძლებლობა. სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ პირებს გააცნოს ერთმანეთის ფუნქცია-მოვალეობები, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს საქმიანობის შეთავსება. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია მოახდენს ანალიზს თუ რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრი მომდევნო სასწავლო წლიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლაში პერსონალის მიღების რეგულაციები გაწერილია „შინაგანაწესი და კორპორატიული სახელმძღვანელო“ - ში. მასწავლებლების შემთხვევაში მიღების წესი კონკრეტდება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას სკოლაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაწესებულებას დადგენილი აქვს პერსონალის მართვის დოკუმენტით. წარმოდგენილი პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ იმ პერსონალის კვალიფიკაცია, რომელიც სკოლას ჰყავდა უკვე დასაქმებული (ძირითადად ადმინისტრაცია) შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. მასწავლებლებს სკოლა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით შეარჩევს 1-15 აგვისტოს პერიოდში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



5.სკოლის რეგულაციები: სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესი, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, შეფასების ვერიფიკაციის წესი, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, მოსწავლეთა საბჭოს მუშაობის წესი, დეპარტამენტების მოწყობა და ფუნქციონირება დაფუძნებულია თანამშრომლობასა და გადაწყვეტილების ერთობლივად მიღებაზე რაც უზრუნველყოფს მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს პერსონალის მართვასა და ორგანიზაციული კულტურაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. „შინაგანაწესი და კორპორატიული სახელმძღვანელო“-თი სკოლას განსაზღვრული აქვს მასწავლებლის/თანამშრომლის წახალისების წესი, რომელიც სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა წახალისების სისტემას მოიცავს. ეს შეიძლება იყოს სიგელის გადაცემა, პროფესიული განვითარებისთვის დამატებითი ტრენინგების დაფინანსება და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მონიტორინგის მენეჯერი

- პერსონალის მართვის პოლიტიკა. ბრძანება N24-25/028;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი. ბრძანება N4-25/009;
- ბაქსვუდის სკოლის შინაგანაწესი და კორპორატიული სახელმძღვანელო. ბრძანება № 24 - 25/ 028;
- სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესი, ბრძანება N24-25/10;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- პირადი საქმეები;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის რეგულირებისათვის შემუშავებულია ორი დოკუმენტი. პერსონალის შეფასების წესი და ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი. პერსონალის შეფასების წესის მიხედვით პერსონალის შეფასებას განახორციელებს ორი დონის მენეჯერი, კერძოდ, მის იერარქიაში თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელი და მისი ზემდგომი მენეჯერი. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია ასევე შეფასების პროცესზე პასუხისმგებელი პირები, შეფასების ინდიკატორები. ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია მასწავლებლის შეფასების პოლიტიკა. მასწავლებლების შეფასებისათვის სკოლა გეგმავს: ა.საგნობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის გაკვეთილზე დასწრებას, დეპარტამენტის წევრების ურთიერთდასწრებას, აკადემიური პროცესების მონიტორინგის მენეჯერის მიერ გაკვეთილებზე დასწრებას. დასწრების მიზანია დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენა და მათ შემდგომი განვითარება. მასწავლებელთა შეფასებისათვის სკოლას შემუშავებული აქვს კრიტერიუმები, რომელიც მოიცავს მასწავლებლის გაკვეთილისათვის მომზადების ხარისხის, სწავლების მეთოდების შერჩევის, სიახლეებისა და ტენდენციების ცოდნას, შესასწავლი მასალის გადაცემისა და მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარს, ობიექტური შეფასების სისტემის ფლობას, საგნის ცოდნა და სწავლებისას გამოყენებას, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პირველადი ავტორიზაციის რეჟიმში ინდიკატორი ვერ შეფასდა.

3. სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალის მართვის პოლიტიკის მიხედვით პერსონალის მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია: ხელი შეუწყოს სკოლაში დასაქმებული პერსონალის პროფესიულ განვითარებას მათი შეფასებისა და შეფასების შედეგებიდან გამომდინარე შესაბამისი აქტივობების დაგეგმვს გზით, მოტივაციის ამაღლებას, კარიერულ ზრდას. შექმნას გარემო, სადაც

თითოეულ თანამშრომელს მიეცემა საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა, პროფესიული განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ახალი თანამშრომლის სასკოლო გარემოსთან ინტეგრაციის მიზნით სკოლა გეგმავს თანამიმდევრულად განახორციელოს მთელი რიგი აქტივობები. მათ შორის: ახალი თანამშრომლისთვის სკოლაში არსებული რეგულაციებისა და პერსონალის გაცნობა, საჭიროების შემთხვევაში რესურსებისა და მხარდაჭერის შეთავაზება, სასწავლო ტრენინგების უზრუნველყოფა თანამშრომელთა პროფესიული ზრდისა და ინტეგრაციისათვის. მასწავლებლის შემთხვევაში დეპარტამენტის ხელმძღვანელებს ეკისრებათ უშუალოდ ახალი პედაგოგების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა, ხოლო აკადემიური პროცესების მონიტორინგის მენეჯერის მიერ ხდება პედაგოგების ინტეგრაციის პროცესზე დაკვირვება და საჭიროების შემთხვევაში დახმარების გაწევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა გეგმავს, რომ ხელი შეუწყოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, რომელიც შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროებების კვლევის შედეგად ან პერსონალის მხრიდან მომართვის საფუძველზე. სკოლა განიხილავს გამოკვეთილ ინიციატივებს და რისკებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით დაგეგმავს განსახორციელებელ ღონისძიებებს. პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ბიუჯეტს კი ასახავს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- თანამშრომელთა ინტეგრაციის წესი ბრძანება N24-25/030;
- ბაქსუდის სკოლის შინაგანაწესი და კორპორატიული სახელმძღვანელო. ბრძანება № 24 - 25/ 028;
- პერსონლის შეფასების წესი ბრძანება № 24-25/025.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ რეჟიმში განვითარებას სკოლა უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის მონიტორინგით და მუდმივი სრულყოფით, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენებით და მათი განვითარების ხელშეწყობით. ამისთვის ის გამოიყენებს P – D – C – A დაგეგმე-განხორციელე-შეამოწმე-განავითარე ციკლს. მას შემდეგ, რაც სკოლა დაგეგმავს სკოლის საქმიანობის რომელიმე ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით და ვის მიერ განხორციელდება, სკოლა დაიწყებს დაგეგმილი პროცესების დანერგვაზე თავის მიდევნებას/მონიტორინგს, რისთვისაც განსაზღვრული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტები. მონიტორინგების შედეგების შეფასების საფუძველზე სკოლა გეგმავს ინტერვენციების განხორციელებას ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა თუ არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებილია.**

2. სკოლას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებილია.**

3. სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმი“, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მხრიდან საჩივრის მიღებას და განხილვას, გარდა აღნიშნულისა დასაქმებულს უფლება აქვს გაასაჩივროს სხვადასხვა პროცედურებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები, რისთვისაც ამ პროცედურების მარეგულირებელ ნორმებში მითითებულია შესაბამისი პროცედურები. მაგ.,

პერსონალის შეფასების დოკუმენტის მიხედვით დასაქმებულს, რომელიც არ ეთანხმება შეფასების შედეგებს შეუძლია გაასაჩივროს, მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით, შესაძლებელია შეიქმნას საპრეტენზიო კომისია. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია სადავო საკითხების გასაჩივრების შესაძლებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით: სკოლის მოსწავლეთა მხრიდან სასტიკად დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაციული ქმედების განხორციელება ან წახალისება ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური, რასობრივი, გენდერული, სოციალური, განსხვავებული პირადი აზრის ან რაიმე სხვა ნიშნით. ბაქსვუდის ყველა მოსწავლეს ეკრძალება ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ლახავს სხვა მოსწავლის, მასწავლებლის, სკოლის ნებისმიერი თანამშრომლის ან სტუმრის პიროვნულ უფლებებსა და თავისუფლებებს, პატივსა და ღირსებას, სკოლის მასწავლებელი ვალდებულია პატივს სცემდეს მოსწავლეთა ღირსებას და იცავდეს მათ უფლებებს, თანამშრომლები მოსწავლეებს ექცევიან კეთილგანწყობით, პატივს სცემენ მათ აზრს, პიროვნულ უფლებებსა და თავისუფლებებს ბაქსვუდის მოსწავლეს ეკრძალება ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ლახავს სხვა მოსწავლის, მასწავლებლის, სკოლის ნებისმიერი თანამშრომლის ან სტუმრის პიროვნულ უფლებებსა და თავისუფლებებს, პატივსა და ღირსებას დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილი მათი უფლება-მოვალეობები. დისციპლინარული ღონისძიებები. ყველა ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტში მითითებულია გასაჩივრების შესაძლებლობა, დრო და ადგილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი და კორპორატიული სახელმძღვანელო. ბრძანება № 24 - 25/ 028;
- სკოლის მმართველობითი, ძირითდი და დამხმარე პროცესები. ბრძანება N24-25/11
- მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმი ბრძანება N24-25/-28;
- მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა დაინტერესებულია გაზარდოს საზოგადოების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. იმისათვის, რომ აღნიშნულ პროცესს მიეცეს ორგანიზებული სახე და დაინერგოს თანამიმდევრული მიდგომები, დაწესებულებამ შეიმუშავა საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა გამოიყენებს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამავე დოკუმენტის მიხედვით დაწესებულების მიერ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად იქნება გამოყენებული არსებული საკომუნიკაციო არხები, მათ შორის ოფიციალური სოციალური ქსელი. ინფორმაციის ანალიზის შედეგებს კი, მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით, დაწესებულება გამოიყენებს საქმიანობის შეფასების/თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებათა დასაგეგმად. სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები, რომლითაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მიზნობრივ გამოკითხვას საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში ფუნქციონირებს აკადემიური საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: სკოლის აკადემიური დირექტორი, სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, აკადემიურ საქმეთა კოორდინატორი, დეპარტამენტების ხელმძღვანელები. აკადემიური საბჭო წარმოადგენს ბაქსვუდის საკონსულტაციო სათათბირო ორგანოს, რომელიც შეიმუშავებს სკოლის აკადემიურ პროგრამას, განიხილავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს და გადაწყვეტილებებს და გადასცემს სკოლის აკადემიურ დირექტორს დასამტკიცებლად და განსახორციელებლად. აღნიშნული საბჭოს ფუნქციონირება უზრუნველყოფს სკოლაში დასაქმებულთა ჩართულობას მართვის კოლეგიალურ ორგანოში. მოსწავლეთა ჩართულობას კი უზრუნველყოფს ბაქსვუდის განვითარების მოსწავლეთა საბჭო/სკოლის მოსწავლეთა სათათბირო - საკონსულტაციო ორგანო. ამ ორგანოს მიზანია სასკოლო ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების მომზადება სკოლის დირექციისათვის. საბჭოს შემადგენლობაში შედიან სკოლის მთავარი მოსწავლე, უფროსი და უმცროსი პრეფექტები, ჰაუსმასტერები და სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელი. სასკოლო საზოგადოების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის მიზნით ასევე გამოიყენება სკოლის მიერ შემუშავებული კითხვარები, რომლითაც დაწესებულება უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევას და შედეგების გათვალისწინებას თავის საქმიანობაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. ბრძანება N24-25/-35;
- შინაგანაწესი და კორპორატიული სახელმძღვანელო. ბრძანება № 24 - 25/ 028;
- კითხვარები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა გეგმავს მაქსიმალურად უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო საზოგადოების ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა. სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია და შეზღუდულია სკოლის შიდა პერიმეტრზე ნებართვის გარეშე გადაადგილება.



სკოლის სტრუქტურით განსაზღვრულია უსაფრთხოების 5 თანამშრომელი, რომელიც ექვემდებარება ტექნიკურ დირექტორს. უსაფრთხოების თანამშრომლის ვალდებულებაა დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები სკოლის ტერიტორიაზე. იზრუნოს, რომ საფრთხის არსებობისას დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიაღწეს. შემუშავებულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან.

სკოლა შედგება ორი ერთმანეთთან დაკავშირებული შენობისაგან, ე.წ. ბლოკისგან, C ბლოკი და B ბლოკი. B ბლოკის გარე და შიდა პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით, B ბლოკზე სკოლამ წამოადგინა შპს სელბის (SELBI) დასკვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ ქ. თბილისში, მარშალ არჩილ გელოვანის გამზირი № 1-ში (ს/კ 01.10.10.025.118) მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულების შენობა (B ბლოკი), რომელშიც განთავსებულია 4 მიწისზედა სართული, სახანძრო სისტემების სამუშაოები წარმართულია შპს „Saxon Management Services“ საფუძველზე. შემდეგ აღწერილია ჩატარებული სამუშაოები და დასკვნის სახით წერია, რომ თბილისი, მარშალ არჩილ გელოვანის გამზირზე (ს.კ. # 01.10.10.025.118) არსებული შენობის B ბლოკი შეესაბამება უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (მათ შორის, სახანძრო უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის კუთხით) და მისი ექსპლოატაცია სასწავლო პროცესისათვის დასაშვებია.

რაც შეეხება C ბლოკს, ის არ არის დასრულებული, შესაბამისად არც ვიდეოსამეთვალყურეო კამერები არ არის განთავსებული და არც სახანძრო უსაფრთხოების შესახებ არ არის კომუნიკაცია დაწყებული.

სკოლას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წამოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების პერიოდად განსაზღვრა პერიოდი 2024 წლის 10 სექტემბრამდე.

ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2024 წლის ივლისი-10 სექტემბერი) შეთანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამის ორგანოსთან/პირთან და მოიპოვოს შენობის ექსპლოატაციის და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა. ამასთან უზრუნველყოს სკოლის (C ბლოკის) სრულად აღჭურვა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით.

სკოლას არ წამოუდგენია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სკოლის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. ინდიკატორის მოთხოვნა არაა დაკმაყოფილებული.

არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ წარმოადგინა:

ა. სშსსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (შეთანხმების წერილი MIA 8 24 023188114).

ბ.კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება დასკვნას შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მოიპოვებს 2024 წლის ივლისი-2024 წლის 10 დეკემბერი პერიოდში;

გ. კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც C ბლოკის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით აღჭურვას დაწესებულება განახორციელებს 2024 წლის ივლისი-2024 წლის 10 სექტემბერი პერიოდში;

დ. კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის (სკოლის) ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას მოიპოვებს პერიოდში 2024 წლის ივლისი-2024 წლის 10 დეკემბერი.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებულ პოზიცია და კომპონენტის შეფასება არ შეესაბამება შეცვალა შეფასებით მეტწილად შეესაბამება. სკოლას კი მიეცა რეკომენდაცია:

ა) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2024 წლის ივლისი 2024 წლის 10 დეკემბერი) მოიპოვოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.

ბ) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2024 წლის ივლისი 2024 წლის 10 სექტემბერი) უზრუნველყოს სკოლის (C ბლოკის) სრულად აღჭურვა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით,

გ) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2024 წლის ივლისი 2024 წლის 10 დეკემბერი) მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის (სკოლის) ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

2. სკოლა არის პირველადი ავტორიზაციის რეჟიმში შესაბამისად სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის შეფასება ვერ განხორციელდა, თუმცა მზაობა ამ მიმართულებით სკოლას აქვს. სკოლას შემუშავებული და 2024 წლის 24 ივნისის N24-25/005 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ექიმის დებულება. დებულების მიხედვით სამედიცინო პერსონალის მოვალეობაა არა მარტო პირველადი დახმარების აღმოჩენა, არამედ პრევენციულ ღონისძიებების გატარებაც. სკოლაში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი და ის აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/5/01-23/5 2022 წლის 21 მარტის შესაბამისად. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა ექიმი.

3. სკოლას არ აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები შეთანხმებული განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. თუმცა პროექტი შემუშავებული და კომუნიკაცია დაწყებული აქვს შესაბამის უწყებასთან. ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ აიღო ვალდებულება, რომ აღნიშნულ გეგმას შეთანხმებს მიმდინარე წლის 10 სექტემბრამდე. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შეთანხმება განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან 2024 წლის ივლისი-10 სექტემბერი პერიოდში და დაამტკიცოს ის.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შთანხმებს 2024 წლის ივლისი-2024 წლის 10 დეკემბერი პერიოდში.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და მისცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2024 წლის ივლისი -2024 წლის 10 დეკემბერი) უზრუნველყოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შთონება განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.

4. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის, დამატებითი საგანმანათლებლო და სადმზრდელო მომსახურების, სკოლის შინაგანაწესის, პერსონალის მართვის პოლიტიკის, მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფებების დაცვის მექანიზმის, კლასის კოორდინატორის პროგრამის, ბაქსვუდის ჰაუსების აღზრდის პროგრამისა და პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის მიხედვით სკოლაში ხელი ეწყობა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლა გამოხატავს მზაობას ფუნქციონირების შემთხვევაში უზრუნველყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა რისთვისაც 2024 წლის 28 ივნისის ბრძანება N24-25/002 - ით განსაზღვრული ჰყავს სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასა და სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება/გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, სამედიცინო პერსონალს კი ევალება განახორციელოს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე ზედამხედველობა, სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაცია დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ. გაუწიოს ზედამხედველობა სკოლაში სასმელი წყლისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვას. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია დასუფთავების სამსახური (4 დამლაგებელი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლა გამოხატავს მზაობას უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვა, რისთვისაც შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და პრინციპებს, მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს, სუბიექტებსა და კატეგორიებს, მიღების წყაროებს. განსაზღვრავს მონაცემებზე წვდომის მქონე სუბიექტებს, მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან რომელიც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების შესაბამისობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი საკუთარ საქმიანობაში დამოუკიდებელია და ექვემდებარება სკოლის დირექტორს. ინფორმაცია პერსონალური ინფორმაციის ოფიცრის დანიშვნის თაობაზე სკოლას გაგზავნილი აქვს შესაბამის სამსახურში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

7. სკოლას საკუთარი რეგულაციის საფუძველზე შეზღუდული აქვს სკოლაში დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომა. სკოლაში დასაქმებულ პერსონალს წვდომა აქვთ მხოლოდ იმ მონაცემებზე და იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია მათი

მოვალეობების შესასრულებლად. შეზღუდულია წვდომა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაზე და ასევე ელექტრონულ ჟურნალზე, google mee-t ზე, მოსწავლისა და თანამშრომლის პირად საქმეებზე (მატერიალური დოკუმენტები), კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმებზე, დოკუმენტბრუნვის სისტემაზე და მასში არსებულ ინფორმაციაზე. სკოლა მუდმივად უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგს. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაცულ პირადი ინფორმაციის უსაფრთხოებას აკონტროლებს სახელმწიფო, სკოლის ციფრულ მატარებელზე დაცულ ინფორმაციის დაცვის ვალდებულებას იღებს თავად სკოლა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8.სკოლა იმყოფება პირველადი ავტორიზაციის რეჟიმში და შესაბამისად ინდიკატორი ვერ გადამოწმდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- კორპორატიული სახელმძღვანელო;
- პერსონალის მართვის ზოგადი პოლიტიკა;
- მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფებების დაცვის მექანიზმი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკისა და მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის ინსტრუქცია ბრძანება N24-25/024;
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი. ბრძანება N24-25/009;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- შესაბამის უწყებაში გაგზავნილი ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის თანამდებობაზე;
- ბაზებთან მუშაობაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის თაობაზე ბრძანება N24-25/003;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციალ-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ბაქსვუდი გელოვანზე საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მდებარეობს ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარის დასახლება მარშალ გელოვანის N1 -ში. დაზუსტებული ფართი წარმოადგენს 9100 კვ.მ. (ს.კ. 01.10.10.025.118. მესაკუთრე შპს ბაქსვუდი გელოვანზე. ს.კ. 405712082). საჯარო რეესტრის ამონაწერში შენობა არ ფიქსირდება, სკოლის წარმომადგენლების განმარტებით ეს განპრობებულია იმ გარემოებით, რომ სკოლის შენობა არ არის დასრულებული და ექსპლოატაციაში მიღებული. აღნიშნულ ტერიტორიაზე დგას ორი შენობა. მათგან ერთი (B ბლოკი), 4 სართულიანი შენობა, დასრულებულია და აღჭურვილია სკოლისთვის საჭირო ყველა ინვენტარით, მათ შორის სამეთვალყურეო კამერებით, სახანძრო უსაფრთხოების სისტემით და მზადაა მიიღოს მოსწავლეები, ხოლო მეორე შენობა ვიზიტის პერიოდში იყო მშენებარე. ვიზუალური დათვალიერებით მშენებარე ბლოკი (C ბლოკი) 3 სართულიანია და იგეგმება საკლასო ოთახების (ჯამში 16 საკლასო ოთახი) და სველი წერტილების მოწყობა. B ბლოკის პირველ სართულზე განთავსებულია უსაფრთხოების სამსახური, სამასწავლებლო, კაფეტერია, ექიმის ოთახი, სველი წერტილები პერსონალისთვის, მეორე სართულზე განთავსებულია 6 საკლასო ოთახი, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამუშაო სივრცე პერსონალისთვის, მესამე სართულზე 4 საკლასო ოთახი და სპორტული დარბაზი გასახდელელებითა და სველი წერტილებით და მეოთხე სართულზე 4 საკლასო ოთახი. ჯამში 15 საკლასო ოთახი. ყველა სართულზე, არის სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის ასევე შშმ პირებისათვის. C ბლოკის დასრულების შემდეგ ის დაუკავშირდება B ბლოკს.



ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, C ბლოკის სამშენებლო სამუშაოების გეგმა გრაფიკი და ხელშეკრულება სამშენებლო სამუშაოების წარმოების შესახებ, ნარდობის ხელშეკრულება (ნარდობის ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ბაქსვუდის სკოლა თბილისსა და შპს „ბი-იუნითს“ შორის. ნარდობის ხელშეკრულებას სკოლამ დაურთო დამატებითი შეთანხმება ხელშეკრულების ცვლილებაზე, რომლის მიხედვითაც მხარეები შეთანხმდნენ რომ 2024 წლის 05 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მხარე, შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი“, საიდენტიფიკაციო კოდი 205089526, ჩანაცვლდება მისი შვილობილი კომპანიით შპს „ბაქსვუდი გელოვანზე“-თი, საიდენტიფიკაციო კოდი 405712082).

წარმოდგენილი სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის მიხედვით 10 სექტემბრამდე (აგვისტო -10 სექტემბერი პერიოდი) შენობაში უნდა მოეწყოს ფასადი და ჭერი, სახურავი, ელექტრო გაყვანილობა, კამერებისა და ინტერნეტის ქსელი, დეტექცია და გახმოვანება, სანტექნიკა, გათბობა/გაგრილება/ ვენტილაცია, ხანძარქრობა, გარე ტერიტორია და ავეჯი.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით სკოლა 2024 წლის 10 სექტემბრამდე გეგმავს:

- ა. ოთახების, საერთო მოხმარების სივრცეების, სველი წერტილების, გარე პერიმეტრის კეთილმოწყობას,
- ბ. ოთახების სასწავლო-მატერიალური რესურსით აღჭურვას,
- გ. შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერებით აღჭურვას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი გეგმა გრაფიკის მიხედვითაც ყველა ტიპის სამუშაოს დასრულება, მათ შორის ავეჯის მოწყობა იგეგმება 10 სექტემბრამდე. სკოლამ ასევე წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტაცია 470 მერხსა და სკამზე, 50 ცალ მარკერის დაფაზე, 13 სმარტდაფაზე, 1 ლედ ეკრანზე, 20 სპერსონალურ კომპიუტერზე და სკოლის შენობის აღჭურვისთვის საჭირო სხვა ინვენტარზე (ინვენტარის შესყიდვაზე ხელშეკრულება N2024-001 დადებულია მიმდინარე წლის 01 ივნისს), გარდა აღნიშნულისა სკოლამ წარმოადგინა შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისის პარტნიორთა გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შპს ბაქსვუდი გელოვანს გადაეცა მოძრავი ნივთები, მათ შორის: 220 მერხი და სკამი (ჯამში სკოლას უფიქსირდება 690 კომპლექტი მერხი და სკამი), 5 პროექტორი, სმარტდაფები 11 ცალი (ჯამში 24), 4 ნოუტბუქი და 14 პერსონალური კომპიუტერი და სხვა სკოლის ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი მოძრავი ნივთი.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და სკოლის მისცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილ ვადებში უზრუნველყოს C ბლოკის მოწყობა სრულად. კერძოდ, როგორც გეგმა გრაფიკშია გაწერილი მოახდინოს ა. ოთახების, საერთო მოხმარების სივრცეების, სველი წერტილების, გარე პერიმეტრის კეთილმოწყობა. ბ. ოთახების სასწავლო-მატერიალური რესურსით აღჭურვა გ. შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერებით აღჭურვა არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაწესებულებამ შენობის მოწყობის ზემოთგანხილული თარიღები უცვლელად დატოვა. შესაბამისად კომპონენტის შეფასება არ შეცვლილა

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები (B ბლოკში არსებული სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სკოლის ეზო, კაფეტერია) სკოლის მიერ შემუშავებული ცალკეული დოკუმენტების (შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, კორპორატიული სახელმძღვანელო, პერსონალის მართვის



პოლიტიკა, მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმის, ჰაუსების აღზრდის პროგრამა, ლაბორატორიებით სარგებლობის დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სხვა), შინაარსი უზრუნველყოფს რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის B ბლოკში მოწყობილია ბიბლიოთეკა, რომლის წიგნად ფონდიც მოიცავს 367 ერთეულ წიგნს, მათ შორის 200 სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში წიგნები აღრიცხულია ელექტრონულად, შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც აღწერს ბიბლიოთეკის მიზნებსა და ამოცანებს, ფუნქციებს, საბიბლიოთეკო რესურსებით და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, მკითხველის უფლება-მოვალეობებს, ბიბლიოთეკარის ანგარიშვალდებულებას, ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვისა და დაცვის წესს. ამრიგად სკოლა შეძლებს უზრუნველყოს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის B ბლოკი, რომელიც დასრულებულია სრულად ადაპტირებულია შშმ პირებზე და ქმნის ინკლუზიურ გარემოს. შენობაში არის ლიფტი, ადაპტირებული სველი წერტილები როგორც მოსწავლეებისათვის ასევე პერსონალისათვის. B და C ბლოკები დაკავშირებულია ერთანეთთან რაც თავისთავად უზრუნველყოფს C ბლოკის ადაპტირებას შშმ პირებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის საკლასო ოთახები (B ბლოკი), ლაბორატორიები, სპორტული დარბაზი და სპორტული მოედანი, კაფეტერია, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა და დერეფნის სივრცეები კარგი საშუალებაა დასვენების, სოციალური ინტერაქციისა და ჯგუფური აქტივობების განსახორციელებლად. აღნიშნული სივრცეები ხელმისაწვდომი იქნება სასკოლო საზოგადოებისათვის, მათ შორის, შშმ პირებისათვის. ზემოთ ჩამოთვლილი სივრცეების დიზაინი მიმზიდველი, კომფორტული და ხელსაყრელია სოციალიზაციისათვის, ხელმისაწვდომია Wi-Fi კავშირი. სოციალური - კულტურული სივრცეებით სარგებლობისას სასკოლო საზოგადოებაზე ვრცელდება სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ;
- C ბლოკის სამშენებლო სამუშაოების გეგმა გრაფიკი;
- ნარდობის ხელშეკრულება;



- დამატებითი შეთანხება ხელშეკრულების ცვლილებაზე;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კორპორატიული სახელმძღვანელო;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფებების დაცვის მექანიზმი;
- ლაბორატორიებით სარგებლობის დებულება;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ჰაუსმასტერების პროგრამა;
- ხელშეკრულება ინვენტარის შესყიდვაზე;
- ხელშეკრულება მოძრავი ნივთის გადაცემაზე.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლას კომპიუტერული ტექნიკა გადაეცა ერთი მხრივ შპს ბაქსუდის საერთაშორისო სკოლა თბილისის პარტნიორთა გადაწყვეტილებით (ოქმი N 2024/01) და მეორეს მხრივ სკოლას დადებული აქვს შესყიდვის ხელშეკრულება 20 პერსონალურ კომპიუტერზე. (ჯამში 38 კომპიუტერი). სკოლის საკუთრებაში არსებული კომპიუტერების/ლექტორების ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით საკლასო ოთახები აღიჭურვება კომპიუტერთა და პროექტორებით, ჭკვიანი დაფებით რის შესაძლებლობასაც სკოლის მიერ წარმოდგენილი შესყიდვისა და ინვენტარის გადაცემის ოქმი ადასტურებს. სკოლის B ბლოკში ინტერნეტის მიწოდება ხდება უსადენო ქსელით (wifi). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა გეგმავს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი გახადოს მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლის სარგებლობაში არსებული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სარგებლობა რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული ლაბორატორიით სარგებლობის წესით. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიის ძირითადი მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. სკოლის ლაბორატორიით სარგებლობის ძირითად პრინციპს წარმოადგენს მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. აღნიშნული წესით რეგულირდება მომხმარებლის პასუხისმგებლობა. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიას ხელმძღვანელობს კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი და ინოვაციების პროგრამების მენეჯერი, რომელიც ვალდებულია აღნიშნული წესი გააცნოს ლაბორატორიის თითოეულ მომხმარებელს. სკოლა აღჭურვილია უსადენო ინტერნეტით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შესყიდვის დოკუმენტაცია;
- მოძრავი ნივთის გადაცემის ოქმი;
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომლის მიზანია დაადგინოს ერთიანი მოთხოვნები სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მომზადებაზე. დოკუმენტით რეგულირდება შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაციის მართვა. სკოლის მიერ წარმოდგენილ რიგ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებზე მითითებული ბრძანების სარეგისტრაციო ნომერი მეორდებოდა (მაგ., ბაქსვუდის სკოლის შინაგანაწესი და კორპორატიული სახელმძღვანელო და პერსონალის მართვის პოლიტიკა, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმი), რაც წინააღმდეგობაშია საქმისწარმოების წესთან. **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ წარმოადგინა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები გასწორებული სარეგისტრაციო ნომრებით. შესაბამისად კომპონენტის შეფასება-არ შეესაბამება შეიცვალა შეფასებით შეესაბამება.

2. სკოლა გეგმავს გამოიყენოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს სქულ მენეჯმენტ სისტემსთან (ხელშეკრულება N010724-2 სისტემის ლიცენზიის სარგებლობაში გადაცემის შესახებ. გაფორმებული 01.07.2024 წელს). ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ლიცენზიანტისათვის სისტემის ლიცენზიის დროებით სარგებლობაში გადაცემა, შიდა სასკოლო დოკუმენტების ელექტრონულად საწარმოებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა არის პირველადი ავტორიზაციის რეჟიმში შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება

4. სკოლა არის პირველადი ავტორიზაციის რეჟიმში შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი ბრძანება N24-25/009;
- ხელშეკრულება N010724-2 სისტემის ლიცენზიის სარგებლობაში გადაცემის შესახებ. გაფორმებული 01.07.2024 წელს შპს სქულ მენეჯმენტ სისტემსთან.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი <https://buckswood.ge/>, ასევე საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის გეგმავს გამოიყენოს სოციალური ქსელი და ელექტრონული ჟურნალი მოსწავლეებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაციისათვის. სკოლას საშტატო განრიგით განსაზღვრული ჰყავს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა განახორციელოს ახალი, პოტენციური და არსებული მოსწავლეების მშობლებთან კომუნიკაცია სკოლის დირექციის მითითებით და უზრუნველყოს სკოლის ვებ-გვერდისა და ფეისბუქის გვერდის მუდმივი მონიტორინგი და განახლება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე წვდოა შეზღუდულია. სკოლის მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, საქმიანობას ახორციელებს გენერალური დირექტორის უშუალო დაქვემდებარებაში სკოლის აკადემიურ დირექტორთან და დაწყებითი საფეხურის კოორდინატორთან კოორდინაციით, ასევე პერიოდულად მონიტორინგს უწევს სკოლის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელს რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



3. სკოლა არის პირველადი ავტორიზაციის რეჟიმში შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- ვებგვერდი <https://buckswood.ge/>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლამ წარმოადგინა ოპერაციული ხარჯები, რომელშიც გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ფინანსური სამსახური. სამსახურის შიგნით ფუნქციები გადანაწილებულია და განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. ხარჯთაღრიცხვას და დეკლარაციებს ამზადებს ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი ახდენს პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის დამუშავებას და მონიტორინგს, ამუშავებს საგადასახადო დოკუმენტაციას, აკონტროლებს ნაშთებს და სალაროს. კომპანიაში აუდიტის ჩატარებას ხელმძღვანელობს ფინანსური დირექტორი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საოპერაციო ხარჯები;
- სკოლის შინაგანაწესი.;
- საშტატო განრიგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. სკოლის შინაგანაწესით მკაფიოდ არის განსაზღვრული მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები კერძოდ, გაწერილია მოსწავლის ქცევის კოდექსი, უფროსი პრეფექტის უმთავრეს მოვალეობებში შედის მოსწავლეთა ინტერესების დაცვა და მათი შეხედულების გაზიარება დირექციისა და სასკოლო საზოგადოებისათვის, მოსწავლეთა შორის სამართლიანობისა და ურთიერთპატივისცემის უზრუნველყოფა. მოსწავლეთა საბჭო, რომელიც წარმოადგენს სკოლის მოსწავლეთა სათათბირო-საკონსულტაციო ორგანოს და რომლის მიზანია სასკოლო ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და საჭირო რეკომენდაციების მომზადება სკოლის დირექციისათვის, ხელს შეუწყობს მმართველობით პროცესებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რომლითაც იხელმძღვანელებს სკოლაში მოსწავლის მიღების დღიდან დამუშავებული პერსონალური ინფორმაციის მართვისას. მონაცემთა საინფორმაციო ბაზაზე წვდომა შეზღუდულია რაც ასევე პერსონალური ინფორმაციის დაცვის გარანტიაა. მოსწავლეთა ინტერესების დაცვა და მხარდაჭერა რეგულირდება მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმებით, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ნებისმიერ მოსწავლეს აქვს უფლება ღიად ისაუბროს საკუთარი ინიციატივის შესახებ და განსახილველად და მხარდასაჭერად წარადგინოს საკუთარი იდეები. მოსწავლეთა უსაფრთხოებისათვის შემუშავებულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი, მოსწავლის უფლებების დაცვა განხორციელდება „მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმის“ ამოქმედებით, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო საზოგადოების მხრიდან საჩივრის მიღება და განხილვა. საშტატო განრიგით სკოლას განსაზღვრული ჰყავს ინკლუზიური განათლების პროგრამის კოორდინატორი, რომლის ერთ-ერთ ფუნქციასაც სსსმ მოსწავლის იდენტიფიკაცია და მხარდაჭერა წარმოადგენს. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები და რემედიაციის პროგრამის ამოქმედება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. ის განთავსებულია ვებგვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი კანონმდებლობის შესაბამისი კონტენტის მქონე ხელშეკრულების ფორმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა . ბრძანება № 24-25/007;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმები;
- შინაგანაწესი;
- სასკოლო კურიკულუმის პროექტი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტით რეგულირდება მოსწავლეთა ჩარიცხვა პირველ კლასში (მოსწავლეთა ტრანზიცია), მოსწავლეთა მობილობა დაწყებით/ საბაზო და საშუალო საფეხურებზე. სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის მექანიზმები და სტატუსის შეწყვეტის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია და ინდიკატორი ვერ შეფასდა

3. სკოლა გეგმავს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ ინფორმაცია განათავსოს სკოლის ვებგვერდზე, სკოლის შიდა პოლიტიკა, მოსწავლის ქცევის ნორმები და სხვა დაკავშირებული საკითხები ასახულია სკოლის შინაგანაწესში, რაც ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე.

სკოლა გეგმავს, ასევე ეფექტურად გამოიყენოს კლასის კოორდინატორები, რომლებიც ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასების (კოორდინატორების ერთ-ერთი მოვალეობა მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია) მშობლებს მიაწვდიან ინფორმაციას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებებზე. კლასის კოორდინატორების/პედაგოგების/პაუსმასტერების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ასევე ინფორმაცია წლის

განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ იქნება კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული ვინაიდან, სკოლის მიერ შემუშავებული საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის მიხედვით სკოლის საკომუნიკაციო ს საშუალებების მართვაზე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერი და საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერი ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მოამზადებს ინფორმაციას სოციალურ ქსელებში და ვებ-გვერდზე განსათავსებლად. ამასთან, თავადვე ატვირთავს აღნიშნულ ინფორმაციას სკოლის საკომუნიკაციო პლატფორმებზე და უპასუხებს საზოგადოების უკუკავშირს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- შინაგანაწესი;
- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ეფექტიანად მართვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც არეგულირებს როგორც მოსწავლეთა ტრანზიციას, ასევე მობილობის წესით გადმოსვლი, ენობრივი ბარიერის მქონე და სსსმ მოსწავლეების სასკოლო პროცესში ჩართულობის ხელშეწყობას. მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობა ასევე იქნება კლასის კოორდინატორების/ჰაუსმასტერების და სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელის ვალდებულება.

პირველკლასელ მოსწავლეთა შემთხვევაში კლასის კოორდინატორი განახორციელებს სასკოლო მზაობის შემოწმებას, ბავშვს მიაწვდის ინფორმაციას სკოლის შესახებ, დაგეგმავს მოსწავლის ვიზიტს სკოლაში, მისცემს შესაძლებლობას დაამყაროს წინასწარი კომუნიკაცია კლასის კოორდინატორთან და სხვა მასწავლებლებთან.

სსსმ მოსწავლეთა წარმატებული ადაპტაციისათვის სკოლა გეგმავს ბავშვის ოჯახთან თანმიმდევრული კომუნიკაციით მოიპოვოს ინფორმაცია ბავშვის ფუნქციური, სოციალურ-ემოციური, აკადემიური ცოდნისა და უნარების, ბავშვის ინტერესების, ქცევის თავისებურებების და პიროვნული მახასიათებლების შესახებ. გაეცნობა ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნას და გაითვალისწინებს იქ აღწერილ ბავშვის საჭიროებებსა და სასწავლო პროცესისა და გარემოს მორგების რეკომენდაციებს.

მობილობით გადმოსული მოსწავლის, ისევე როგორც სსსმ მოსწავლისა და პირველ კლასში ჩარიცხულ მოსწავლის, ადაპტაციის პროცესში ჩართული იქნება კლასის კოორდინატორი/ჰაუსმასტერი, რომელიც ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს გააცნობს კლასის მასწავლებლებს და მოსწავლეებს, თავის უფლება-მოვალეობებს, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს. ახალ მოსწავლეს სწავლის დაწყებამდე შესაძლებლობას მისცემს დაათვალიეროს სასკოლო გარემო (დარბაზი, ლაბორატორიები, კაბინეტები, ეზო და სხვა ტერიტორიები). კლასის კოორდინატორი/ჰაუსმასტერი კომუნიკაციაშია იქნება მოსწავლესა და მის მშობელთან რათა დაადგინოს მოსწავლის განწყობა სასკოლო ცხოვრების შესახებ და მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით დაგეგმოს აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2 სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია.

3. სკოლის შინაგანაწესის თანახმად მასწავლებლის უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში პრეპის პერიოდში მოსწავლეებს დაუნიშნოს დამატებითი ინდივიდუალური და/ან ჯგუფური მეცადინეობა. დამატებით მეცადინეობაზე მოსწავლის შეფასება შესაძლებელია მოხდეს როგორც განმავითარებელი შეფასებით, ისე წარმატების პასპორტში გაკეთებული კომენტარით. სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება სასწავლო პროცესში და რემედიაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა იღებს ვალდებულებას დაეხმაროს მოსწავლეებს გააცნობიერონ და ისარგებლონ/გამოიყენონ თავიანთი კანონიერი უფლებები კანონით განსაზღვრულ ან გონივრულად მიჩნეულ ვადებში. სკოლას სხვადასხვა შიდა ნორმატიულ აქტებში გაწერილი აქვს მოსწავლის უფლება-მოვალეობები და მათი განხორციელების ვადები. ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობისათვის სკოლას შიდა მარეგულირებელი აქტები განთავსებული აქვს სკოლის ვებგვერდზე ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, დაინტერესებული პირებისთვის სკოლა მოაწვობს ღია კარის დღეს, რომლის საშუალებითაც წარადგენს სათანადო წესით დამოწმებულ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლა უზრუნველყოფს ყველა მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისებზე წვდომას, სსმ და შშმ პირების მომსახურებას, მოსწავლეების დაცვას დისკრიმინაციისგან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლა მოსწავლეებს დამატებით არაფორმალურ აქტივობებში სთავაზობს კლუბებს: ხელოვნების, ჭადრაკის, მეწარმეობის, პროგრამირების, მუსიკის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და გაეროს მოდელირების კლუბი, ფეხბურთის (ბეტისის აკადემიასთან თანამშრომლობით), ფრენბურთის (ბაქსვუდის ფრენბურთის აკადემიის ბაზაზე), ბეისბოლის, მხატვრული ტანვარჯიშის, კალათბურთის და ბალეტის. სკოლას მოსწავლეთა ინიციატივების მხარდასაჭერად და ეფექტიანად მართვისათვის შემუშავებული აქვს მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი. მექანიზმით განსაზღვრულია ის გზა, რომელიც უნდა გავლოს მოსწავლემ, რომ მისი ინიციატივა (თუ კი ის იქნება მოწონებული) იქნას განხილული მხარდაჭერილი და საჭიროების შემთხვევაში დაფინანსებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა გეგმავს გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება, რისთვისაც შემუშავებული აქვს კითხვარები, რომლის მეშვეობითაც გეგმავს კმაყოფილების კვლევას და კვლევის შედეგების გათვალისწინებას აქტივობების დაგეგმვისას. სკოლა გეგმავს ითანამშრომლის კვლევით კომპანიასთან Qualtrics. თანამშრომლობის ფარგლებში სკოლას შესაძლებლობა ექნება მომხმარებლებს შეეთავაზოს საუკეთესო პლატფორმა უკუკავშირის გასაზიარებლად, ასევე გააანალიზოს სერვისების განვითარება და დროულად განესაზღვროთ პრობლემის გადაჭრის ეფექტური გზები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- სადამრიგებლო გეგმები;
- სკოლის შინაგანაწესი ;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- სასკოლო კურიკულუმის პროექტი;

- მემორანდუმები.
- ჰაუსების პროგრამა.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ჰაუსმასტერების პროგრამის მე-6 მიმართულება ითვალისწინებს მოსწავლეებში კარიერულ დაგეგმვასა და პროფესიულ ორიენტაციის მხარდაჭრას, საკუთარი ინტერესების გაცნობიერებაში დახმარებას, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას. ამ მიმართულებით მუშაობას ჰაუსმასტერები გეგმავენ 24 შეხვედრის გამავლობაში. ჰაუსმასტერების პროგრამა ითვალისწინებს პროფესიების, უნვერსიტეტების, პროგრამების ასევე პროფესიის არჩევისას არსებული რისკების გაცნობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, შესაბამისად ინდიკატორი ვერ შეფასდა.
3. სკოლა გეგმავს ჩაატაროს გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით და მიღებული შედეგები გამოიყენოს მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ჰაუსმასტერების პროგრამები;
- კითხვარები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სსსმ (შშმ) მოსწავლეებისათვის. სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების ეფექტიანად მიწოდების მიზნით სკოლას შტატით განსაზღვრული ჰყავს ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, რომელიც მუდმივ კოორდინაციაში იქნება პედაგოგებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. ინკლუზიური განათლებს კოორდინატორის ვალდებულებაა სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირება, საჭიროებიდან გამომდინარე აქტივობების და სავარჯიშოების დაგეგმვა და განხორციელება, მშობელთან და მასწავლებელთან აქტიური კომუნიკაცია, ინდივიდუალური მუშაობა ბავშვებთან და პროცესის მონიტორინგი. სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში და იგი განხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა დაეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის კოორდინირებაზე პასუხისმგებელი პირია დაწყებითი საფეხურის შემთხვევაში, შესაბამისი კლასის კოორდინატორი/ტუტორი, ხოლო ჰაუსების სისტემის შემთხვევაში - დირექციისაგან შერჩეული ჰაუსმასტერი. აღნიშნული პირი უზრუნველყოფს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლებისთვის ადეკვატური პირობების შექმნას, მაგალითად, უზრუნველყოფს განსაკუთრებულ საგაკვეთილო განრიგს, გამოყოფს სპეციალურ ადგილს, სადაც მოსწავლე შეძლებს დასვენებას და ა.შ. სსსმ მოსწავლეებზე იზრუნებენ ასევე ინკლუზიური განათლების კოორდინატორი და კანონმდებლობით განსაზღვრული ისგ ჯგუფი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- საშტატო განრიგი;
- სასკოლოკურიკულუმი.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
